

შპს „მეტალოკერამიკული კონსტრუქციები და გადახურვები გეშენ საქართველო“
საიდენტიფიკაციო კოდი : 412684180

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	2-3
სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება/ზარალის ანგარიშგება) -----	4-5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----	6-7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	8-11

შპს „მეტალკერამიკული კონსტრუქციები და გადახურვები გეშენ საქართველო“
საიდენტიფიკაციო კოდი : 412684180

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი		
	12/31/2021	12/31/2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	184,833	264,237
საინვესტიციო ქონება	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	-
	184,833	264,237
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები (შენიშვნა1)	254,395	35,309
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (შენიშვნა2)	2,135,689	2,609,032
მარაგები (შენიშვნა 3)	121,513	79,226
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	307,721	219,959
	2,819,318	2,943,526
მთლიანი აქტივები	3,004,151	3,207,763
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	922,286	922,286
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,470,550	1,508,725
გადაფასების რეზერვი	-	-
	2,392,836	2,431,011
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
ანარიცხები	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	50,000	50,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (შენიშვნა 4)	561,315	726,752
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
	611,315	779,752
მთლიანი ვალდებულებები	611,315	779,752
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	3,004,151	3,207,763

ხელმოწერილი პირები:

კოუ სუიჭოუ - დირექტორი
1 ოქტომბერი, 2021წ
თბილისი, საქართველო



შპს „მეტალოკერამიკული კონსტრუქციები და გადახურვები გეშენ საქართველო“
საიდენტიფიკაციო კოდი : 412684180

მოგება - ზარალის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

	12/31/2021
ამონაგები	713,338
თვითღირებულება	(741,542)
საერთო მოგება	(28,204)
სხვა შემოსავლები	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(86,026)
მიწოდების დანახარჯები	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი)	-
სხვა ხარჯები	(9,320)
საოპერაციო მოგება	(123,550)
ფინანსური შემოსავალი	85,375
ფინანსური ხარჯი	-
ფინანსური ხარჯი-წმინდა	85,375
მოგება დაბეგვრამდე	(38,175)
მოგების გადასახადი	-
მოგება/(ზარალი)	(38,175)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(38,175)

ხელმოწერი პირები:

კოუ სუიჭოუ - დირექტორი

1 ოქტომბერი, 2021წ
თბილისი, საქართველო



შპს „მეტალოკერამიკული კონსტრუქციები და გადახურვები გეშენ საქართველო“
საიდენტიფიკაციო კოდი : 412684180

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	922,286	-	1,508,725	2,431,011
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(38,175)	(38,175)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	922,286	-	1,470,550	2,392,836

ხელმოწერილი პირები:

კოუ სუიჭოუ - დირექტორი

1 ოქტომბერი, 2021წ
თბილისი, საქართველო



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „შპს მეტალოკერამიკული კონსტრუქციები და გადახურვები გემენ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 25 აპრილს საიდენტიფიკაციო კოდით 412684180.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს (მთლიანი შემოსავლის 90 %) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ.თბილისში, სამგორის რაიონი, ვ.კუპრაძის ქ. # 72 კორ. 6 ბ. 50

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. #88
2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

მფლობელები	წილი %
კოუ სუიჭოუ, პ/ნ 60291000520	100%

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	1 იანვარი 2021	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	3,2766	3,0976

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი

ნაკადების ანგარიშგების.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	254,395	35,309
სულ	254,395	35,309

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	406,398	451,544
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	28	28
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	1,283,652	1,702,859
საგარანტიო თანხა საბანკო ანგარიშზე	191,310	191,310
სხვა მიმდინარე აქტივები	254,301	263,291
სულ	2,135,689	2,609,032

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით.

გაცემული სესხები

	2021	2020
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	1,283,652	1,803,859
დარიცხული პროცენტი	83,903	100,343
მიღებული პროცენტი	-	-
სულ პერიოდის ბოლოს	1,367,555	1,904,202

სესხების აღიარება ხდება სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, სესხის პროცენტის დარიცხვა ხდება გრაფიკის მიხედვით, დღიური გამიჯვნის გარეშე.
სესხი გაცემული 2,040,000 ლარი 2019 წლის 9 ივლისს 12 თვანი ვადით 5 %-იანი სარგებლით მსესხებელი : შპს გემენის სამშენებლო კომპანია ს/კ 406284514

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	5
ავეჯი და ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	7
არამატერიალური აქტივი	10

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებაა 10%. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შენიშვნა 3 მარაგები

	2021	2020
ნედლეული და მასალები	121,513	79,226
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	121,513	79,226

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	559,504	699,969
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1,811	26,783
სულ	561,315	726,752

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

7. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

8. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება კომპანიის საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული საპროცენტო შემოსავლებიდან და იურიდიულ პირებზე გაცემული სასესხო თანხებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავლებისგან.

1 საპროცენტო შემოსავლები - 85,375 ლარი

9. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

10. საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:

კოუ სუიჭოუ - დირექტორი

1 ოქტომბერი, 2021

თბილისი, საქართველო

